ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 45

24.09.2020
16:30 საათი

ქ. თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა
დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრი

მიმდინარე წლის 24 სექტემბერს, 16:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **ზაზა ცინაძე,** მერიის საქალაქო სამსახურის და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. *„დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა." (მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი).*

სხდომა წარიმართა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია - კომისიებს წარუდგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ მულტიფუნქციური ცენტრის იდეა და პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის ინოვაციურია და აღნიშნული, ესპანეთის საკმაოდ წარმატებული მოდელის ანალოგი გახლავთ, ასეთი მასშტაბის და მნიშვნელობის ცენტრები დედაქალაქს პირველად ექნებათ სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით. დიდი დიღმის პროექტი მცირედით განსხვავებულია ვარკეთილის პროექტისგან, მაგალითად აღნიშნული უფრო მაღალი იქნება ვიდრე ვარკეთილის პროექტი, ცვლილებები განპირობებულია ადგილ-მდებარეობის და ფართობის გათვალისწინებით, ვინაიდან აქ ნაკლები სივრცეა ვარკეთილის ცენტრთან შედარებით რომელიც ბევრად დიდ ტერიტორიაზე შენდება, დიღმის ცენტრს სართული დაემატება, სხვა სტანდარტები რაზეც შევჯერდით დაცული იქნება სრულად. საზოგადოებრივ ცენტრში ფეხბურთისა და კალათბურთის სპორტული, ასევე ტანვარჯიშის, სპორტული ორთაბრძოლების, ძიუდოს, კრივის, კარატესა და ჭიდაობის დარბაზები, ტრენაჟორების სივრცე და ფიტნეს სექცია, ორი საცურაო აუზი, საუნა, სპორტული ინვენტარის მაღაზია, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, სახელოვნებო სკოლა, ბოულინგის, სამაგიდო თამაშებისთვის განკუთვნილი ზონა და სხვა სივრცეები მოეწყობა. მოგეხსენებათ მნიშვნელოვანია უსაფრთხოება და გეტყვით, რომ ცენტრები გათვლილია 9 ბალიან მიწისძვრაზე, იქნება სრულად ადაპტირებული შშმ პირებისთვის და შეძლებს დღიურად 15 000 ბენეფიციარის მომსახურეობას, ასეთი გამტარუნარიანობის სივრცე ძალიან რთულად მოსაძებნია რეგიონშიც კი, ამავდროულად მოგეხსენებათ, რომ ლოკაციები შეირჩა მაქსიმალურად დასახლებული ტერიტორიების მიხედვით, რადგან ცენტრებმა შეძლონ სრული დატვირთვით მუშაობა და სასიკეთოთ შეცვალონ მოსახლეობის სპორტში ჩართულობის მაჩვენებელი.

რაც შეეხება კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კვარტალურ ანგარიშს, მოგახსენებთ, რომ არა პანდემია გაცილებით ბევრი რამის გაკეთებას შევძლებდით. პროგრამების მიხედვით ასეთი მდგომარეობა გვაქვს:

სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 2 004 500 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 301 150 ლარი, შესაბამისად, გეგმა შესრულდა 64,91%-ით. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის და ეროვნული 17 სპორტული ფედერაცია. საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების სულ დაფინანსდა 39 (ოცდაცხრამეტი) პროექტი და 39 პროექტიდან 3 (სამი) პროექტი ქვეყანაში ე.წ. კორონავირუსის“ გავრცელების გამო გადაიდო, ხოლო 9 (ცხრა) პროექტი გაუქმდა. განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 4 000 - ზე მეტმა ბენეფიციარმა. თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 4 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა;

მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 1 334 262,50 ლარი. შესრულებამ შეადგინა 1 323 637,50 ლარი, შესაბამისად, გეგმა შესრულდა 99,20%–ით;

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 118 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 12 957 ლარი. შესაბამისად, გეგმა შესრულდა 10,98%-ით. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქ. თბილისში, ც. დადიანის ქუჩაზე სკეიტ-პარკის მოედნის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 5 596 118 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 118 500 ლარი. შესაბამისად, გეგმა შესრულდა 19,99%-ით. ქვეპროგრამის ფარგლებში იქმნება ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ყველა წევრისთვის (ქალებისთვის, კაცებისთვის და შშმ პირებისთვის). საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ქ. თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის მიმდინარე სამუშაოები; ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები; ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები; ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის" ლილოს ბაზაზე დენის, გაზის და წყლის სიმძლავრეების მოსამატებლად სამუშაოები; ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარების" ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია;

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 195 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 182 250 ლარი, შესაბამისად, გეგმა შესრულდა 93,46%ით. საანგარიშო პერიოდში სპორტის 34 სახეობაში დაფინანსდა 247 წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენი ბავშვი (18 წლამდე);

პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 06 06) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 768 550 ლარი, შესრულებამ შეადგინა 432 881 ლარი, შესაბამისად, გეგმა შესრულდა 56,32%-ით. საანგარიშო პერიოდში ცენტრში მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაცო პროცესი, საერთო ჯამში, საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული იყო 217 პარასპორტსმენი (მ.შ. 189 მამაკაცი და 28 ქალი) და 20 მწვრთნელი;

ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 1 155 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 427 409 ლარი, შესაბამისად, გეგმა შესრულდა 37,01%-ით. დაფინანსდა 10-ზე მეტი ახალგაზრდული ინიციატივა, სეზონური ბანაკები და სხვადასხვა პროექტი რომელთა უმრავლესობა მიზნად ისახავდა პანდემიის პერიოდში ახალგაზრდებისთვის სახლში ყოფნის დროის ნაყოფიერად გატარებასა და პანდემიის მთავარი მოწოდების „#დარჩისახლში" შესრულების ხელშეწყობას.

თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08 08 02) 2020 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა იყო 464 210 ლარი, შესრულებამ შეადგინა 289 390 ლარი, შესაბამისად, გეგმა შესრულდა 62,34%-ით. 2020 წლის, I-II კვარტლის განმავლობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ" არსებული პროგრამული

მიმართულებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არაერთი პროექტი, სადაც ჩართული იყო ასობით ბენეფიციარი.

ხაზგასმით აღსანიშნავია ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მუშაობა, სადაც სულ ეროვნულმა სასახლემ 2020 წლის პირველ კვარტალში 54 ღონისძიება ჩაატარა, 2020 წლის მეორე კვარტალში ეროვნულმა სასახლემ 64 ღონისძიება ჩაატარა, (ღონისძიებები მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში) სადაც ასობით ახალგაზრდა იყო ჩართული. ასევე პანდემიის პერიოდში აქტიურ მუშაობას განაგრძობდნენ ონლაინ რეჟიმში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები და მათთან არსებული წრეები.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - პროექტი საქართველოსა და სრულიად რეგიონისთვისაც უპრეცედენტო შინაარსისა და მასშტაბების მქონეა. ცენტრი, რომლის მშენებლობის პროცესის დასათვალიერებლადაც, დღეს აქ ვიმყოფებით, დიდი დიღმისა და მთლიანად დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის უამრავ კარგ სიახლეს შემოიტანს. ეს იქნება სივრცე, რომელიც არაერთ საინტერესო მიმართულებას გააერთიანებს, მოერგება საზოგადოების საჭიროებებს და სპორტისა თუ კულტურის მიმართულებით ახალგაზრდების შესაძლებლობების გაღრმავებას მოემსახურება.

ავთანდილ ცინცაძე - მე, როგორც აღნიშნული უბნის მაჟორიტარი მოხარული ვარ ასეთი გრანდიოზული პროექტის მშენებლობით, დიდ დიღომში გარდა მულტიფუნქციური ცენტრისა მალე შემოგვემატება საფეხბურთო აკადამია, გამგეობის მიერ უკვე გაკეთდა თანამედროვე სატრენაჟორო სივრცე, რომელსაც ანალოგი არ აქვს ფართობის და ტრენაჟორების თვალსაზრისით, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებს ეყრდნობა და მოიცავს სპეციალურ სატელეფონო პროგრამას ვარჯიშის სწორად შესრულებაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კვარტალური ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია“.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე